



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. დეკემბრის 6

№ 30

თბილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

- ✓ 135. 1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში ხილის კულტურების გაშენების გეგმის შესახებ.
- ✓ 136. 1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში ვენახებისა და ხილის ბაღების გაშენებლად გამოსადეგი მიწების გამოყოფის ღონისძიებათა შესახებ.
- ✓ 137. 1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში ახალი ვენახების, ვენახის სანერგეებისა და ამერიკული ვაზის სადედეების გაშენების გეგმის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

- 138. კურორტთა სანიტარული დაცვის შესახებ გამოტანილი ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.
- 139. „ლორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.
- 140. ქ. თბილისში სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ცენტრ-საშენთა ტრესტის ორგანიზაციის შესახებ.
- 141. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურის შეცვლის შესახებ.

## სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

135. 1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში ხილის კულტურების გაშენების გეგმის შესახებ.

„საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 15 ოქტომბრის დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს 1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში ხილის კულტურების გაშენების შემდეგი გეგმა:

ა) კოლმეურნეობებში—16.800 ჰექტარი, რაც განაწილდეს რაიონების, წლების, ნაყოფის სახეებისა და ჯიშების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1;

ბ) გზების და სარწყავი არხების გასწვრივ, კოლმეურნეობათა, სასოფლო საბჭოების და სკოლების საკარმიდამო ნაკვეთებზე, ხილის ბაღების გარშემო, ქარსაცავი ნარგავების, ცოცხალი ღობისა და სხვ. სახით—8.250 ჰექტარი, რაც განაწილდეს რაიონების, სახეებისა და წლების მიხედვით, თანახმად დანართისა № 2;

გ) კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე 3077 ჰექტარი, რაც განაწილდეს რაიონებისა და წლების მიხედვით, თანახმად დანართისა № 3.

2. დაწესდეს თესლოვანი ხილის მწკრივებს შორის ქონდარა ხეხილის (ვაშლი და მსხალი) და ატმის ხეების გაშენების გეგმა 8000 ჰექტარ ფართობზე, აქედან ვაშლი და მსხალი 2000 ჰექტარზე, რაც განაწილდეს რაიონების, წლების და სახეების მიხედვით, თანახმად დანართისა № 4.

3. დაევალოს ქართლის რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1940 წლის 15 დეკემბრამდე დაიყვანონ ხილის ნარგავების გაშენების გეგმა კოლმეურნეობებამდე, სასოფლო საბჭოებამდე და კოლმეურნეობამდე.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქ. კ. პ. (ბ) სათანადო რაიონულ კომიტეტებთან და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად 1941 წლის 1 თებერვლამდე ჩაატარონ 5 წლიან ასაკამდე ხილის ბაღებში დანაკლისი ხეების, აგრეთვე ძლიერ დაზიანებული და გამხმარი ხეების აღრიცხვა, რომლებიც ამოძირკულ უნდა იქნას, და, ამ აღრიცხვის საფუძველზე, 1941 წლის 15 თებერვლამდე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს განსახილველად წარმოუდგინონ გამორგვის (რემონტის) ჩატარების გეგმა, რომლის დროსაც გაითვალისწინონ, რომ საქართველო 1942 წლის დამლევისათვის სავსებით იქნას ლიკვიდირებული ბაღების შეთხელება.

5. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და კოლმეურნობათა გამგეობებს მოაწიონ კოლმეურნობებში მეხილეობის სპეციალური ბრიგადები, რომლებსაც მიამაგრონ ხილის ბაღების ნაკვეთები ვადით არანაკლებ 5—7 წლისა, ამავე დროს მიამაგრონ მეხილეობის ბრიგადებს სხვა კულტურების ნათესებიც იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ბრიგადების წევრთა თანაბარ დატვირთვას წლის განმავლობაში, და ეს მუშაობა დაამთავრონ 1941 წლის 1 იანვრისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გადასინჯოს და 1941 წლის 1 იანვრამდე რაიონებს მიაწოდოს გამომუშავების სანიმუშო ნორმები მეხილეობის დარგში, ამასთან გაითვალისწინოს, რომ საქართველა ხილის ბაღების უკეთესი მოვლის სტიმულირება.

7. რჩევა მიეცეს კოლმეურნობებს, რომლებსაც 50 ჰექტარზე მეტი განსაზოგადოებული ხილის ბაღები აქვთ, იყოლიონ სპეციალური აგრონომი ან აგროტექნიკოსი. საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს განსახილველად წარმოუდგინოს წინადადება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართლის რაიონებს აგრონომებით და მეხილეობის მასობრივი კვალიფიკაციის კადრების (ბრიგადირები, მყნობელები, მსხვლელები და სხვ.) მომზადების გეგმა.

8. წინადადება მიეცეს ქართლის რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს რჩევა მისცენ კოლმეურნობებს, რომლებსაც ხილის ბაღების დიდი მასივები აქვთ, საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს გაითვალისწინონ ფარდულების მშენებლობა, მინერალური სასუქისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესანახად.

9. მეხილეობის დარგში საქირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების შესაცვლელად, დამზადებული ხილის ღირებულების 3%--ანი ანარიცხები მთლიანად დატოვებულ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. აგრეთვე გადაეცეს მიწსახკომს საქკონსერვხილტრესტის აგროტექნიკური პერსონალი, რომელიც ამ ანარიცხების ხარჯზე ინახება.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოსთან ერთად 2 დეკადის ვადაში შეიმუშაოს და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხილის ბაღების აღრიცხვას ჩატარებას ქართლის რაიონებში.

ბ) ვადაამუშაოს არსებული აგროწესები და გამოსაცემად მისწავლოს ბროშურები და პლაკატები მეხილეობის საკითხებზე. სახელგამმა, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განაცხადის თანახმად, შეიტანოს 1941 წლის გეგმაში ლიტერატურის გამოცემა მეხილეობის საკითხებზე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მდივანი

ვ. ბაქრაძე.

კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ნოემბრის 23. № 2409.

თბილისი.

### 136. 1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში ვენახებისა და ხილის ბაღების გასაშენებლად გამოსადეგი მიწების გამოყოფის ღონისძიებათა შესახებ.

„საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 16 ოქტომბრის დადგენილების განსახორციელებლად, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, დუშეთის და თიანეთის რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ შეუდგინენ ხილის ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად გამოსადეგი ფართობების გამოყოფას კოლმეურნეობებში.

2. ამ მუშაობის ჩასატარებლად მოეწყოს რაიონებში კომისიები შემდეგი შემადგენლობით: მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის ხელმძღვანელი), მიწგანის გამგე ან მთავარი აგრონომი, დარგობრივი აგრონომები, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

3. ხილის ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად გამოსადეგი ფართობების გამოყოფა 1941 წელს გასაშენებლად დამთავრდეს 1941 წლის 1 იანვრამდე, შემდგომ წლებში გასაშენებლად კი 1945 წლის ჩათვლით, 1941 წლის 1 ივლისამდე.

4. აეკრძალოს ქართლის რაიონების კოლმეურნეობებს სხვა მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება გამოყოფილ ფართობებზე, რომლებიც გამოსადეგია ხილის ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად.

5. დაწესდეს, რომ ხილის ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად გამოსადეგი მიწების ნაკვეთების გამოყოფა გაფორმდება სათანადო აქტით, ამასთან



აქტის ერთი ცალი ინახება კოლმეურნეობაში, მეორე რაიმიწვანში, სხვაში — მესამე ვეზავნება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

6. დავეალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიშუშაოს და ადგილებს დაუგზავნოს აქტის ფორმები და ინსტრუქცია ხილის ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად გამოსადეგი ფართობების გამოყენების შესახებ.

7. გაფრთხილება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, თეთრიწყაროს და თიანეთის რაიონული კომიტეტების მდივნებს და შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მიწების სწორად გამოყოფისათვის იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ხილის ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად რაიონებისათვის დაწესებული 1941—1945 წლების გეგმის სრულად განაწილებას.

8. დავეალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიოს რაიონების მუშაობას აღნიშნული კულტურებისათვის ფართობების გამოყოფის ხაზით და ყოველთვიურად მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მუშაობის მამდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე  
გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი  
კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ნოემბრის 23. № 2410.

თბილისი.

**137.** 1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში ახალი ვენახების, ვენახების სანერგეებისა და ამერიკული ვაშის სადედეების გაშენების გეგმის შესახებ.

„საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების განსახორციელებლად, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 2 ივნისის დადგენილების შესაცვლელად გეგმის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ვენახების გაშენებას 1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში (ხაშური, ქარელი, გორი, კასპი, თბილისი, მცხეთა, თეთრიწყარო და ღუშეთი), დამტკიცდეს 1941—1945 წლებისათვის გაშენების გეგმის შემდეგი განაწილება:

ა) ვენახებისა — 8872 ჰექტარის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონების, წლებისა და ჯიშების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1:



ბ) ამერიკული ვაზის სადედეებისა იმ გეგმის გადამეტებით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 2 ივნისის დადგენილებით, 1941 წლის გაზაფხულისათვის 110 ჰექტარის რაოდენობით, რიპარია ბერლანდიური 5<sub>33</sub> ჯიშისა, რაც განაწილდეს რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 2.

2. ვენახის გაშენების აღნიშნული გეგმის უზრუნველსაყოფად დაწესდეს მყნობის გეგმა 1941—1945 წლებისათვის 68.400 ათასი ცალის რაოდენობით და სანერგეების გაშენებისა—684 ჰექტარის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონების, წლებისა და ჯიშების მიხედვით, თანახმად დანართისა № 3.

3. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1940 წლის 15 დეკემბრამდე მიაწოდონ კოლმეურნეობებს ვენახების, ამერიკული ვაზის სადედეების გაშენების გეგმა და მყნობისა და სანერგეების გაშენების გეგმა.

4. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) გორის, კასპის, მცხეთის, თბილისის, ქარელისა და ხაშურის რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და მტს-ების დირექტორებს დაიწყონ პლანტაჟი და დაამთავრონ იგი 1941 წლის 1 იანვრამდე იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის მაღალხარისხობრივი მომზადება ამერიკული ვაზის სადედეების გასაშენებლად 1941 წლის გაზაფხულზე.

დაევალოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოწყოს და ქართლის რაიონებში შეიტანოს მაღალხარისხოვანი სამყენი მასალის საქირო რაოდენობა ამერიკული ვაზის სადედეების გასაშენებლად.

5. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის, კასპისა და გორის რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1941 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველვყონ ვენახის სათბურების მშენებლობის დამთავრება.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ქართლის რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიიღონ ყოველგვარი საქირო ზომები ვენახების სათანადო მოსავლელად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნიადაგის თავის დროზე დამუშავებას (მწკრივების საშემოდგომო გადაბარვა და მწკრივებს შორის ღრმა ხენა, გათოხნა, კულტივაცია და სხვა), ორგანიული და მინერალური სასუქების შეტანას და ბრძოლას სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და სნეულებათა წინააღმდეგ;

ბ) მიადწიონ ამერიკული ვაზის სადედეების მოვლის რადიკალურად გაუმჯობესებას, აუცილებლად ჩაატარონ ღრმა ხენა (18-20 სანტიმეტრი) სადედეების მთელ ფართობზე კალმების შექრის შემდეგ, გასწმინდონ სადედეები სარეველა ბალახებისაგან და შეიტანონ სასუქი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაღალხარისხოვანი სამყენი მასალის მიღება;

გ) განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიონ სანერგე მასალის განმარტების ვენახების გასაშენებლად და სანერგეებისათვის საჭირო ნაკვეთების სწორად შერჩევასა და დამუშავების, მყნობის, სანერგეების დარგვისა და დამუშავების თავის დროზე და ხარისხობრივად ჩატარების გზით, უზრუნველყვნ სულ მცირე 45-50% პირველხარისხიანი ნერგის გამოსავალი სანერგეებიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე  
გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი  
კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ნოემბრის 23. № 2411.  
თბილისი.

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

**138. კურორტთა სანიტარული დაცვის შესახებ გამოტანილი ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.**

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 ივლისის დადგენილების (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 20, მუხ. 77) დამატებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. მუხ. 8 საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1923 წლის 3 თებერვლის დეკრეტისა „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. № 1, ნაწ. 1, მუხ. 2) და მისი შენიშვნა.

2. საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 5 სექტემბრის დადგენილება „ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 9, მუხ. 129; 1929 წ. № 14, მუხ. 146; 1931 წ. № 20, მუხ. 210; 1932 წ. № 24, მუხ. 239).

3. დებულება კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილების სამთო-სასანიტარო დაცვის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 46).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ნოემბრის 26. № 2419.  
თბილისი.

**139** „ლორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ტყავის ნედლეულის დამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 10, მუხ. 252) სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 20 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება „ლორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 7, მუხ. 31).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ნოემბრის 26. № 2431.  
თბილისი.

**140. ქ. თბილისში სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენთა ტრესტის ორგანიზაციის შესახებ.**

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენებისა და მეცხოველეობის სხვა საბჭოთა მეურნეობებისადმი, რომლებიც საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საესებით სწორად ჩაითვალოს და მიღებულ იქნას სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის წინადადება იმის შესახებ, რომ ქ. თბილისში მოეწყოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენთა ტრესტი, რომელსაც დაუმორჩილდეს შემდეგი საბჭოთა მეურნეობები და ცხენთსაშენები:

საქართველოს სს რესპუბლიკაში: ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა, კაურჯის საბჭოთა მეურნეობა № 7, ბაჭყალიძის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშთსაშენი საბჭოთა მეურნეობა, კულარის ცხენთსაშენი № 73, მუხროვანის ცხენთსაშენი № 85 და ყარაიას ცხენ-ჯორსაშენი № 74.

სომხეთის სს რესპუბლიკაში: ლორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშთსაშენი საბჭოთა მეურნეობა და ალაგოვის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში ცხენთსაშენები № 71 და 75.

2. მიღებულ იქნას სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის წინადადება ქ. თბილისში „სოიუხსოგვოზსნაბის“ განყოფილების მოწყ-



ყოფის შესახებ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის იმ საბჭოთა მეურნეობების მომარაგება, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მდებარეობენ.

3. ცხენთაშენებისა და მეცხოველეობის სხვა საბჭოთა მეურნეობების ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს მოეწყოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობათაშორისო ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რისთვისაც საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს გადასცეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყოფილი ვიაურარხის ზონალური სადგურის სადგომები და ნაგებობანი ბორჩალოს რაიონში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ნოემბრის 27. № 2437.  
თბილისი.

#### 141. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

ა) სატყეო მეურნეობისა და ტყის კულტურის მთავარი სამმართველო, რომელსაც დაუმორჩილდეს ყველა სატყეო მეურნეობა და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტყის კულტურის მეურნეობანი;

ბ) ხისდამმუშავებელი მრეწველობის ტრესტი „საქტყედამმუშავება“, რომელსაც დაუმორჩილდეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ყველა ხე-ტყის ქარხანა, ავეჯის ფაბრიკა და ფანერის დამმუშავებელი საწარმოები;

გ) ხე-ტყის დამზადებისა და გამოზიდვის ტრესტი „საქტყედამზადება“, რომელსაც დაუმორჩილდეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის ყველა სატყეო-სამრეწველო მეურნეობა და ავტომეურნეობანი;

დ) ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო „საქტყემომარაგება“;

ე) ტყის ჯიშის თესლის დამამზადებელი კანტორა „ტექთესლკულტურა“;

ვ) ტყის მოწყობის, ტყის საძიებელ ყოველგვარ სამუშაოთა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოთა წარმოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ჯგუფი, სამეურნეო ანგარიშზე;

- ზ) ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება;
- თ) საიდუმლო-სამობილიზაციო განყოფილება;
- ი) საგეგმო-ეკონომიური განყოფილება;
- კ) ცენტრალური ბუხჰალტერია.

2. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული კანტორა „ავტოტყე“ და მისი ფუნქციები გადაეცეს ტრესტ „საქტყედამზადებას“.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს უშუალოდ ემორჩილება ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი.

4. დამტკიცდეს 1940 წლისათვის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა შტატი 137 ერთეულის რაოდენობით.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხ. 3 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 5 იანვრის დადგენილებისა „საქართველოს სსრ სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოების ორგანიზაციების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 4, მუხ. 14) და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 27 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში დამოუკიდებელი სამეურნეო ანგარიშიანი საავტოტრანსპორტო მეურნეობის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 4, მუხ. 28).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ნომბრის 29. № 2456.

თბილისი.

სსს რსს  
სს რსს  
სს რსს  
სს რსს  
სს რსს  
სს რსს



---

**გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო**

---

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში  
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.